

၉၈၈၅၆၅

მერი პოპინსი კარს ალებს



დე პარკში

პ. ლ. ცხივეჩიანი

მედიკალიზაციის
ყაზის აღება



პ. ლ. ტრევერსი
მერი პოპინსი კარს ალებს

P. L. Travers
MARY POPPINS OPENS THE DOOR

ინგლისურიდან თარგმნა ია კოროშინაძემ
ლექსები თარგმნა დავით ახალაძემ

ილუსტრატორები მერი შეპარდი და აგნეს სიმსი

© 1943 by P. L. Travers
© renewed 1971 by P. L. Travers
All rights reserved.

წიგნი გამოიცა გამომცემლობა „პალიტრა L-თან“ თანამშრომლობით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-581-3

[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

ვუძღვნი კეტიან კორნელს

სარჩევნი

I ხუთი ნოემბერი	11
II მისტერ ტვიგლის სურვილები	50
III კატა, რომელმაც მეფეს შეხედა	85
IV მარმარილოს ბიჭუნა	122
V ტკბილი ბედაურები	160
VI ვეება ტალღები	195
VII ბედნიერება აწ და მარადის	232
VIII კიდევ ერთი კარი	267

5 ნოემბერს ინგლისში გაიფოქსის დღეს აღნიშნავენ. მდელოებზე კოცონებს ანთებენ, პარკებში ფეიერვერკებს აწყობენ და ქუჩებში „გაის“ დაატარებენ. „გაი“ ჩალით გატენილი, ადამიანის ფორმის საფრთხობელაა, რომელიც რომელიმე არაპოპულარულ პირს განასახიერებს. მას, ხმამაღალი შეძახილების თანხლებით, კოცონზე საჯაროდ წვავენ. ბავშვები სახეს შავად იღებენ, უცნაურად იმოსებიან და „გაისთვის“ ფულის შესაგროვებლად მიდიან. მხოლოდ ძალიან ხელმომჭირნე თუ იტყვის უარს ხურდა ფულის გაღებაზე. ასეთებს კი, როგორც ამბობენ, დიდი განსაცდელი ელით.

გაი ფოქსი „დენთის შეთქმულების“ სახელით ცნობილი აჯანყების მონაწილე იყო. მეფე ჯეიმს I-ისა და პარლამენტის დასამხოვად აფეთქების მოწყობა 1605 წლის 5 ნოემბერს იგეგმებოდა. შეთქმულება გასცეს. მეფეცა და ლორდთა პალატის წევრებიც გადარჩნენ, საბრალო გაი ფოქსი კი, შეთქმულების სხვა მონაწილეებთან ერთად, სიკვდილით დასაჯეს. ხალხს მისი სახელი დღემდე ახსოვს, მეფე კი ყველამ დაივიწყა. მას შემდეგ ინგლისში 5 ნოემბერს, ისევე როგორც 4 ივნისს ამერიკაში, ფეიერვერკებით ხვდებიან. 1605 წლიდან 1939 წლამდე გაი ფოქსის დღის აღსანიშნავად ინგლისის ყველა საგრაფოში, სოფლად კოცონებს ანთებდნენ. სასექსის იმ პატარა სოფელში, სადაც მე ვცხოვრობდი, კოცონს მღვდლის საძოვარზე ვანთებდით. ცეცხლის ალი ზეცას რომ მისწვდებოდა, მღვდლის ძროხა კუნტრუშს იწყებდა და მანამდე ხტოდა, სანამ უკანასკნელი ნაკვერჩხალიც არ გაცივდებოდა. მეორე დილით კი მუდამ ერთი და იგივე მეორდებოდა: მღვდელი საუზმეზე რძის გარეშე რჩებოდა. რა უცნაურია, მრავალი წლის წინ ერთ ჩვეულებრივ ძროხას პარლამენტის გადარჩენის ამბავი ასე გულწრფელად ახარებდა.

1939 წლის შემდეგ ამ დღეს სოფლად კოცონებს აღარავინ ანთებს. წყვილით მოცულ პარკებში არც ფეიერვერკებია და აღარც ჟრიაშულის ხმა ისმის ჩაბნელებულ ქუჩებში. მაგრამ ერთ დღეს წყვილიაი გაიფანტება... ისევე დადგება ხუთი ნოემბერი (შესაძლოა ეს რომელიმე სხვა დღესაც მოხდეს – ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ექნება) და უამრავი კოცონის ცეცხლოვანი ჯაჭვი ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორემდე, მთელ ბრიტანეთში გადაიჭიმება. ბავშვებიც უწინდებურად გადახტებიან კოცონზე და იცეკვებენ. მერე ერთმანეთს ხელს ჩაჰკიდებენ, ფეიერვერკების ცქერით დატკებებიან და სიმღერ-სიმღერით დაბრუნდებიან სახლში, რომელიც სინათლით იქნება სავსე...

პ. ლ. ტრევერსი

სუთი ნოემბერი*

მოქუფრული და სუსხიანი დილა გათენდა – სწორედ ისეთი, ზამთრის მოახლოებას რომ გახსენებს. ალუბლების ქუჩაზე სიჩუმეს არაფერი არღვევდა. პარკი და სახლები ნისლის სქელ საბურველში გახვეულიყო. აღარც ადმირალ ბუმის ტელესკოპიანი ფლაგშტოკი მოჩანდა.

ქუჩის კუთხეში მერძევემ შემოუხვია. ეტყობოდა, რომ ნისლში გზას ცუდად ხედავდა.

– რძე მო-ო-ვი-და! – შესძახა და ადმირალის კართან შეჩერდა. მის ხმას იმდენად უჩვეულო, ყრუ ჟღერადობა ჰქონდა, რომ მერძევე გვარიანად შეშინდა. – სახლში წავალ და ვიდრე ნისლი არ გაიფანტება, გარეთ ცხვირსაც არ გამოვყოფ, – ჩაილაპარაკა თავისთვის.

* იხ. ნინა გვერდზე.

სწორედ ამ დროს ნისლში ვილაცის სილუეტი გამოიკვეთა. იმ ვილაცამ მერძევეს მხარი გაჰკრა.

– ჰეი! წინ იყურე!

– ხელის ცეცებით დავბოდილობ... დავ-ბო-ო-დი-ალობ... – გაისმა მშვიდი, მოგუდული ხმა.

– ოჰ, შენ არ ყოფილხარ?! – შვებით ამოისუნთქა მერძევემ.

– დავბოდილობ, – გაიმეორა მებუხრემ. უღვაში რომ არ დანამვოდა, თავისი ჯაგრისები ცხვირ-პირზე აეფარებინა და ისე ლულულულებდა.

– ადრიანად გამოსულხარ, – უთხრა მერძევემ.

მებუხრემ გამურული ცერით ჯერ მის ლარკის სახლზე მიუთითა, მერე კი ახსნა-განმარტებაც მოაყოლა:

– საკვამურის განმენდა ძალლების საუზმობამდე უნდა მომესწრო, თორემ ჭვარტლზე ხველა აუტყდებოდათ.

მერძევემ უტიფრად გადაიხარხარა. მის ლარკის ძალლების ხსენებაზე ხომ ყველას ეცინებოდა!

ჰაერში ნისლის ფთილები მოჩანდა. ქუჩაში ჩამიჩუმი არ ისმოდა.

– უჰ! – ამოიოხრა მერძევემ და ტანში ჟრუანტელმა დაუარა. – ასეთი სამარისებური სიჩუმე შიშის ზარს მცემს.

სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, რომ ალუბლების ქუჩამ გამოიღვიძა. საიდანღაც საშინელი ღრიალისა და ფეხების ბაკუნის ხმა გაისმა.

– ჩვიდმეტი ნომერი სახლი უნდა იყოს! – დაასკვნა მე-
ბუხრემ. – მაპატიე, მეგობარო, დროა, ნავიდე! დარწმუ-
ნებული ვარ, მე ვჭირდები!

სახლის ჭიმკარს ხელის ცეცებით მიაგნო, ბაღში შევი-
და და ბილიკს გაუყვავა...

მისტერ ბენქსი წინკარში ბოლთას სცემდა და დრო-
დადრო ავეჯს ფეხს ურტყამდა.

– მოთმინების სანაცვლოდ, აი, რა მივიღე! – ყვიროდა
და ხელებს შეშლილივით იქნევდა.

– ერთსა და იმავეს უკვე მერამდენედ იმეორებ, იმას
კი არ მეუბნები, სინამდვილეში რა მოხდა! – ხმას აუნია
მისიზ ბენქსმა და ქმარს შეშფოთებული მზერა მიაპყრო.

– რა აღარ მოხდა! – იღრიალა კაცმა. – აბა, ამას შეხე-
დე! – მარჯვენა ფეხი ცოლის წინ გაიქნია. – ამასაც კარ-
გად შეხედე! – ახლა მარცხენა ფეხი შეათამაშა.

წინკარში ბინდ-ბუნდში იდგა, მისიზ ბენქსი კი ახლომ-
ხედველი იყო. დაიხარა და მისტერ ბენქსის ფეხები ასე
შეათვალიერა.

– მე, ე-ე, საგანგაშოს ვერაფერს ვამჩნევ, – გაუბედა-
ვად თქვა.

– ვერ ამჩნევ, აბა რა! – უპასუხა გულმოსულმა კაცმა. –
აღბათ მეჩვენება, რომ რობერტსონ ეიმ დღეს ერთი ფეხ-
საცმელი შავი მომცა, მეორე კი – ყავისფერი! – მისტერ
ბენქსმა ფეხები ისევ გაიქნია.

– ოჰ! – შესძახა ქალმა. ახლა უკვე კარგად დაინახა, რა ანუხებდა ქმარს.

– ერთად ივიშვიშებით შენ და რობერტსონ ეი, სამსახურიდან რომ დავითხოვ! ამაღამვე!

– მისი ბრალი არ არის, მამიკო, – კიბის მხრიდან ჯეინის ხმა გაისმა. – ალბათ, ბინდ-ბუნდში კარგად ვერ გაარჩია. თანაც, რობერტსონ ეი შეუძლოდაა.

– ის კი შეძლო, რომ ცხოვრება კოშმარად მიქცია! – ბრაზიანად ჩაილაპარაკა მისტერ ბენქსმა.

– მამიკო, რობერტსონ ეის დასვენება სჭირდება! – შეახსენა მაიკლმა, რომელიც დას მოჰყვებოდა კიბეზე.

– აუცილებლად დავასვენებ! – პირობა დადო მისტერ ბენქსმა და ხელი ჩანთას დასტაცა. – ვინ იცის, რას გავაკეთებდი, რომ არ დავქორწინებულყავი! იქნებ რომელიმე გამოქვაბულში მარტოდმარტო მეცხოვრა. იქნებ მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდაც წავსულიყავი!

– ჩვენ რას ვიზამდით? – დაინტერესდა მაიკლი.

– თქვენს თავს თვითონ მიხედავდით და კარგიც იქნებოდა! სად არის ჩემი პალტო?

– ტანზე გაცვია, ჯორჯ, – მშვიდად მიუგო მისიზ ბენქსმა.

– დიახაც! – დანებებას არ აპირებდა მისტერ ბენქსი. – მაცვია პალტო, რომელსაც ერთადერთი ღილილა შერჩენია! ჩემთვის ხომ ცოტაც საკმარისია! მე ხომ ერთი უბრა-

ლო კაცი ვარ, რომელსაც გადასახადების გადახდა ევა-
ლება! სავახშმოდ შინ არ დავბრუნდები!

გულდანყვეტილი ბავშვები აბუზღუნდნენ.

– დღეს ხომ გაი ფოქსის დღეა, შენ კი მაშხალების
ანთებაში ბადალი არ გყავს... – ქმრის გულის მოგება სცა-
და მისიზ ბენქსმა.

– მეყო მაშხალები! დილიდან ღამემდე მხოლოდ უსია-
მოვნებებია! – იღრიალა კაცმა, ცოლს ხელი გააშვებინა,
სახლიდან გავარდა და მეზუხრეს ლამის ცხვირით დაე-
ტაკა.



– ხელი ჩამომართვით, სერ! – მეგობრულად უთხრა მე-
ბუხრემ. – ხომ იცით, მებუხრისთვის ხელის ჩამორთმევას
ბედნიერება მოაქვს!

– გამეცალეთ, გამეცალეთ! – გააფთრებით შესძახა
მისტერ ბენქსმა. – დღეს ბედი არ მწყალობს!

მებუხრე ნუთით შეჩერდა და მას თვალი გააყოლა, მე-
რე ჩუმად ჩაიცინა და კარზე ზარი დარეკა...

– მამა ასე არ ფიქრობს, არა? მაშხალების ასანთებად
დაბრუნდება, არა? – ჯეინმა და მაიკლმა დედასთან მიი-
ბინეს და კაბის კალთა მოქაჩეს.

– ბავშვებო, ვერაფერს შეგპირდებით, – მისიზ ბენქსმა
შემოსასვლელის სარკეში საკუთარ ანარეკლს შეხედა და
ამოიოხრა.

მას სულ სხვა სადარდებელი ჰქონდა და გულში იმაზე
ჯავრობდა, წონაში დავიკელიო. ცალ ლოყაზე ღრმული
ალარც კი მეტყობა, მალე მეორეზეც გამიქრება და ვინღა
შემომხედავსო. ამ ყველაფერში კი დამნაშავე მხოლოდ
„ის“ არისო! – დაასკვნა ბოლოს მისიზ ბენქსმა.

ბავშვების ყოფილ ძიძას, მერი პოპინსს გულისხმობ-
და. ვიდრე მერი პოპინსი ჩვიდმეტ ნომერ სახლში ცხოვ-
რობდა, ყველაფერი შესანიშნავად იყო. იმ დღის შემდეგ
კი, რაც მან ბენქსები მოულოდნელად და გაუფრთხილებ-
ლად მიატოვა, ოჯახის ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა.

„ხუთ ველურ ბავშვთან სრულიად მარტო დავრჩი და დამხმარეც არავინ მყავს, – ფიქრობდა მისიზ ბენქსი და საკუთარი თავი ებრალებოდა – განცხადებაც გამოვაქვეყნე და დახმარება მეგობრებსაც ვთხოვე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. რაც დრო გადის, ჯორჯი სულ უფრო და უფრო ბრაზიანი ხდება. ანაბელს კბილები ამოსდის. ჯეინი, მაიკლი და ტყუპები საოცრად გაცელქდნენ. ამ საშინელ გადასახადებზე ხომ აღარაფერი ვთქვა...“

მისიზ ბენქსს ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა – სწორედ იქ, სადაც ერთ დროს მშვენიერი ღრმული ჰქონდა...

– ასე არაფერი გამოვა, – სწრაფად გადანყვიტა მან, – მის ენდრიუს უნდა შევატყობინო.

ამ სიტყვების გაგონებაზე ოთხი ბავშვი ერთხმად ატირდა. ზევითაც, ბავშვების ოთახში ანაბელის ხმამაღალი ქვითინი გაისმა. კარგად იცოდნენ, რომ მის ენდრიუ, რომელიც ერთ დროს თვით მისტერ ბენქსის აღმზრდელი იყო, საზარელზე საზარელი ქალი ბრძანდებოდა.

– ხმას არ გავცემ! – იყვირა გააფთრებულმა ჯეინმა.

– აქ მოსვლას თუ გაბედავს, ფეხსაცმელზე დავაფურთხებ! – დაიმუქრა მაიკლი.

– არა, არა! – სანყლად მოსთქვამდნენ ჯონი და ბარბარა.

მისიზ ბენქსმა ყურებზე ხელები აიფარა.

– ბავშვებო, შემობრალეთ! – აღმოხდა სასონარკვეთილს.

– დედიკოს ახლავე ბოდიში მოუხადეთ! – უთხრა ბავშვებს მოახლე ელენმა და მისიზ ბენქსს მხარზე ოდნავ შეეხო. – მეზუხრე მოვიდა, მემ. სასტუმრო ოთახში საკვამური უნდა განმინდოს. გაითვალისწინეთ, რომ დღეს გამოსასვლელი დღე მაქვს და როცა ის თავის საქმეს დაამთავრებს, აქაურობას ვერ დავალაგებ. ესეც ასე! – გამოაცხადა მან და ცხვირი ისე ხმამაღლა მოიხოცა, იფიქრებდით, საყვირს ჩაჰბერესო.

– ბოდიშს გიხდით! – შესძახა მეზუხრემ და შემოსასვლელში თავისი ჩანთები და ჯაგრისები შემოათრია.

– ვინ არის? – სამზარეულოს მხრიდან მისიზ ბრილის ხმა მოისმა. – მეზუხრე? ცხოების დღეს? არა, ამას არ იზამთ! მაპატიეთ, მემ, მაგრამ გაფრთხილებთ, თუ ეს ჰოტენტოტი საკვამურში აძვრება, მე კარს გავიხურავ და წავალ!

მისიზ ბენქსმა ოთახი უმწეოდ მოათვალიერა.

– მისთვის მოსვლა არ მითხოვია, – თქვა ბოლოს. – ისიც კი არ ვიცი, საკვამური გასაწმენდია თუ არა!

– ყველა საკვამური ჯაგრისს ელის, – გამოაცხადა მეზუხრემ და სასტუმრო ოთახში ფრთხილად შეაბიჯა. მერე, იქაურობა რომ არ გაჭვარტლულიყო, ზენრის გაფენას შეუდგა.

აღელვებულმა მისიზ ბენქსმა მისიზ ბრილს გადახედა.

– იქნებ რობერტსონ ეი დაეხმაროს... – გაუბედავად დაიწყო მან.

– რობერტსონ ეი თქვენს მაქმანებიან შალში გახვეულა და საკუჭნაოში ისე ღრმად სძინავს, ტრომბონის ხმა თუ გააღვიძებს, – უთხრა მისიზ ბრილმა. – თუ ნებას მომცემთ, ჩემს ნივთებს ჩავალაგებ! ჰეი! გამიშვი ხელი, ინდუსო!

მებუხრეს მისი მტევანი მაგრად ჩაებლუჯა და გულმოდგინედ ართმევდა ხელს. მისიზ ბრილს სახეზე ცივი ღიმილი გადაეფინა.

– რა გაენყობა, დღეს გამონაკლისს დავუშვებ! – ქალმა აზრი შეიცვალა და სამზარეულოს კიბეს გახალისებული ჩაუყვია.

კბილებდაკრეჭილი მებუხრე ახლა ელენს მიუბრუნდა.

– მურიანო წარმართო, შეხება არ გაბედო! – შეჰკვივლა შეშინებულმა მოახლემ.

მებუხრემ მისი სიტყვები არაფრად ჩააგდო, ხელი ღონივრად ჩამოართვა და... ელენმაც გაიღიმა!

– კეთილი, ეცადეთ, ხალიჩა არ დასვართო, – გააფრთხილა კაცი და, რადგან თვითონაც უამრავი საქმე ჰქონდა, იქაურობას გაეცალა.

– ხელი ჩამომართვიო! – ბავშვებისთვისაც მოიცალა უცნაურმა სტუმარმა. – ბედნიერებას მოგიტანო!

ბავშვებმა მას ხელი გაუნოდეს და თითოეულს შავი ლაქა დარჩა ხელისგულზე. ერთი რამ უდავო იყო – ყველას გუნება გამოუხსნორდა!

ახლა მისიზ ბენქსის ჯერი დადგა. მეზუხრის გაშავებულ-
ლი, თბილი თითების შეხებაც კი საკმარისი აღმოჩნდა იმის-
თვის, რომ ქალს ენერჯის საოცარი მოზღვავება ეგრძნო.

– საუკეთესო გამოსავალი უნდა ვიპოვოთ, ჩემო საყ-
ვარლებო, – უთხრა ბავშვებს. – ძიძის თაობაზე კიდევ
ერთ განცხადებას გამოვაქვეყნებ. იქნებ ამჯერად მაინც
გაგვიმართლოს!

ჯეინმა და მაიკლმა შვებით ამოისუნთქეს. ისეთი პირი
უჩანდა, დედა მის ენდრიუს მონწევას აღარ აპირებდა!

– როგორ იქცევით მაშინ, როცა ბედის ნყალობა ყვე-
ლაზე მეტად გჭირდებათ? – ჰკითხა მეზუხრეს ჯეინმა და
სასტუმრო ოთახში შეჰყვავა.

– ხელს საკუთარ თავს ვართმევ ხოლმე, – ხალისიანად
მიუგო მეზუხრემ და ჯაგრისი საკვამურში შეასრიალა.

ბავშვები მის საქმიანობას მთელი დღე ადევნებდნენ
თვალს და თან ერთ ამბავში იყვნენ, არა, მე მივანვდი ჯაგ-
რისს და არა – მეო. დროგამოშვებით, მათ დასამშვიდებ-
ლად, მისიზ ბენქსი შემორბოდა ოთახში და ცდილობდა,
მეზუხრე აეჩქარებინა.

ფანჯრებს მიღმა, ქუჩაში, ისევ ნისლი იდგა. ბგერე-
ბი ყრუდ მოისმოდა. ჩიტებიც სადღაც შეეყუჟულიყვნენ.
მხოლოდ ერთი ბებერი შოშია ჩანდა, სანახევროდ ბუმ-
ბულგაცვენილი. ფანჯარას არ სცილდებოდა. იჯდა და
დარაბებს შორის ისე იჭვრიტებოდა, იფიქრებდით, ვილა-
ცას ეძებსო.